№ 51
მარტის 5, ოთხშაბათი 1903 წ.
1877

ივერია

№ 51
მარტის 5, ოთხშაბათი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ მარტიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 8 მანეთი და 75 კაპ.

რადგან იანვარში შეცდომით იყო დაბეჭდილი, რომ გაზ. „ივერია“ ნახევარ წლით ჰღირს 6 მ. 50 კაპ., იმის მაგიერ, რომ ყოფილიყო—6 მ., ამიტომ აქ ვბეჭდავთ დაწვრილებით, რამდენს თვეს რა ჰღირს გაზეთი: 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

ისყიდება სურამში

იუნკერთა სასწავლებლის საზაფხულო სამყოფის გვერდით

საუკეთესო სააგარაკო ადგილები,

მემკული კარგის ჰავითა, ტყითა და წყაროებით. სასეირნოდ დატოვებულია ოზრდილი ადგილი ტყისა. სივრცე თითოეულის აგარაკისა 133—478 ჩორსო აჟენი. უმთავრესი ქუჩა ათ საჟენიანია. ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდომია, კითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში 10—3 საათამდე (სასახლის ქუჩა. თავად-აზნაურობის ქარვასლა). (25—7)

საზოგადო კრება

სამარხი კასისა

ქართულ თეატრის დარბაზში, **მარტის** 9 **რიცხვს**, **კვირას დილის** 11 საათზედ, დანიშნულია **ტფილისის სამარხი კასის** წევრთა საზოგადო კრება: განსახილველად და **დასამტკიცებლად წლიურის ანგარიშისა, ამოსარჩევად სამის სარევიზიო** და **ერთის გამგეობის** წევრისა და **მათი ნაცვლებისა.**

ს.-პეტერბურგის კომპანია

„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა . . . . 1.650.000 **მან.**
სათადარიგო თანხა . . . . 2.664,808 **მან.**

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 საგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა სიაში, სიბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარებას ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, საცა ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შენახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნაოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავალი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრედვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.

ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის საგენტონი ყველგან. სატრანსპორტო საგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის საგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის **„ნადეჟდას“**-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის საგენტო სასახლის ქუჩაზე, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108. (120—6.—93)

№ 41. ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 6 მარტს

იაფ-ფასიანი წარმოდგენა

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

დაკლებულის ფასებით

მ ტ ა რ ვ ა ლ ი

დრამა 5 მოქ. ი. ლაზარიაშვილისა.

მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, რიონელი და გალუსტოვისა. ბნ-ნი გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, რომანიშვილი, და სხ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „მურად-ფაშა“ „ოტელო“, „ქეთევან წამებული“, „მედია“.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ცირკი ძმ. ნიკიტინებისა

ფრანგული



ჭიდაობა

ოთხშაბათს 5 მარტს

შესდგება ფრანგული **ჭიდაობა** ორის შესანიშნავის მოჭიდავესი **ვ. მოორის** (ზნამენსკი) და იტალიის მოჭიდავე **გულერმოსი** მოჭიდავეთა პრემიად დანიშნულია 100 მ.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან.

25 მაისს 1898 წელს დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს აზრის ძალით, იმის შესახებ, რომ დაუბრუნდეს ტფილისის სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებლად მყოფთ თავიანთი შეტანილი ფული, ამა ბანკის დასაარსებლად, და ბ-ნ ფინანსთა მინისტრის მიერ 8 მაისს 1900 წელს დამტკიცებულ წესთა მე-7 მუხლის ძალით, ამით ცხადდება საყოველთაოდ, რომ ის, ვის ხელშიც გადავიდა შესაბამის წარწერით თავადის ივანე იოსების ძის ანდრონიკაშვილის მიერ ზემოხსენებულ ბანკის დასაარსებლად შეტანილის ფულის კვიტანცია რვაას-ორმოცი მანეთისა (840 მანეთი), მოვალეა წარმოუდგინოს იგი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს ექვსის თვის განმავლობაში დღიდგან ამ განცხადების დაბეჭდვისა. თუ ასე არ მოიქცა, სამუდამოდ დაეკარგება უფლება იმ ფულის მიღებისა და იგი ფული დაუბრუნდება ზემოხსენებულ თავადს ანდრონიკაშვილს, ანუ მის მემკვიდრეებს. (3—6—2)

ფოთის სამარხი კასის გამგეობა აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ კვირას, 9 მარტს ამ წლისა, ნაშუადღევის 6 საათზედ ფოთის ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია მორიგი საზოგადო კრება კასის წევრთა.

განსახილველი საგნები:

1) საზოგადოების 1902 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.
2) თანამდებობის პირთა არჩევანი.
3) სჯა-ბაასი გამგეობის წევრთა დასაჩუქრების შესახებ
4) საჩივარი იმის შესახებ, რომ არ მიეცა პრემია დასამარხად თავის მკვლელის ქირისუფალთ. (3—6.—2)

ხუთშაბათს, 6 მარტს, სამხედრო შტაბის დარბაზში დანიშნულია **კავკა-**

სიის განყოფილების საიმპერატორო რუსულ საგეოგრაფიო საზოგადოების წევრთა კრება, რომელიც მოისმენს თვისის ნამდვილის წევრის სამთო ინჟინერის მ. ა. შოსტაკის მოხსენებას სვანეთსა და რაჭაში მოგზაურობის შესახებ. გარეშეთ შეუძლიანთ კრებას დაესწრნონ. შესვლა უფასოა.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან.

25 მაისს, 1898 წელს დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს აზრის ძალით იმის შესახებ, რომ დაუბრუნდეს ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებლად მყოფთ თავიანთი შეტანილია ფული ამა ბანკის დასაარსებლად და ფინანსთა მინისტრის მიერ 8 მაისს, 1900 წელს დამტკიცებულ წესთა მე-7 მუხლის ძალით, ამით ცხადდება საყოველთაოდ, რომ ის, ვის ხელშიც გადავიდა შესაბამის წარწერით თავ. გიორგი გიორგის ძის ერისთავის მიერ ზემოხსენებულ ბანკის დასაარსებლად შეტანილის ფულის კვიტანცია ხუთას სამოცდა ხუთმეტის მანეთისა (575 მ), მოვალეა წარმოუდგინოს იგი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს ექვსის თვის განმავლობაში დღიდგან ამ განცხადების დაბეჭდვისა. თუ ასე არ მოიქცა, სამუდამოდ დაეკარგება უფლება იმ ფულის მიღებისა და იგი ფული დაუბრუნდება ზემოხსენებულ თავადს ერისთავს ანუ მის მემკვიდრეებს. (3—6.—2)

ქ ა რ თ უ ლ ი თ ე ა ტ რ ი

ოთხშაბათს, 5 მარტს 1903 წ.

ქართულ-სომხურ დასის არტისტების: ქ-ნ მ. საფაროვ-აბაშიძის, ე. ჩერქეზიშვილის, ტასო აბაშიძის, ქ. ანდრონიკაშვილის, ბარ. მელიქოვისა და ბბ. ვ. აბაშიძის, კ. მესხის, არუთინიანის გ. ანანიაშვილის და თავ. მ. ჩოლოყაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება:

I

ბედნიერი ლუკმა

კომ. 3 მოქმ. დ. ერისთავისა.

II

თავის ბრალია

Ш

ცოლ-ქმრობის წინააღმდეგი

კომ. 1 მოქ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია, მხოლოდ მოწაფეებისთვის 50 კაპ. და ქანდარაზე დაკლებულ ფასით.

დასაწყისი 8 საათზედ

წარმოდგენის გამგე მ. აჯიმამუდოვი.

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ე ქ ი მ ი

ვ. დამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფით საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—3-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. დამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

მ. ვ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშ. რდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ხოთშ. და შაბათი. $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$.

ა. გ. ბარხუძოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

ბრ. ვ. სოგოლევსკი—ოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მუდმივი ექიმი **გ. დ. ნასარიძე.**

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ნ. ს. ლუბეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—$7^{1}/_{2}$ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. $7^{1}/_{2}$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^{1}/_{2}$—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გუმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардiана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისი

◆ სასიამოვნო ამბავი უნდა ვაუწყოთ ჩვენს მკითხველებს: ბ-ნს გიორგი ჟურულს შეუდგენია მოკლე, მაგრამ საკმაოდ დასაბუთებული მოხსენება ვიწრო ლიანდაგიან რკინის გზის შტოს გაყვანის შესახებ ქართლში, გორიდგან ცხინვალამდე. მოხსენებას სათაურად აქვს: მიმართულება, ტიპი და ეკონომიური მნიშვნელობა ქართლის ვიწრო-ლიანდაგიან რკინის გზისა—Краткая записка о направленіи, типѣ и экономическомъ значеніи Карталинской узко-колейной желѣзной дороги.

ეს მოხსენება ჯერ კერძო ბჭობაზედ იქმნება წაკითხული და შემდეგ გორის მაზრის მორიგ სათავად-აზნაურო კრებაზედ. ამ მოხსენების შინაარსს მალე გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს.

◆ ჩვენ მივიღეთ პატარა რუსული წიგნაკი, კავკასიის საიმპ. სამკურნალო საზოგადოებისა ამ სათაურით: „მესამე კრება კავკასიის მკურნალთა ტფილისში, მოწოდებული 1905 წლის აპრილისათვის—3-й съѣздъ кавказскихъ врачей, созываемый въ Тифлисѣ въ Апрѣлѣ 1905 г. პირველი კრება იყო 1903 წელს ხოლერობის მეორე წელს, მეორე იყო 1901 წელს და მესამე, უფრო ვრცელის პროგრამით, ინიშნება 1905 წლის აპრილში.

◆ მოგვივიდა აგრეთვე Извѣстія Кавк. Отдѣла Импер. Геогр. Общества № 5 და Записки იმავე გეოგრაფიულ საზოგადოებისა, მე-XXIII წიგნი, ბ. ზ. კოლენკოს რედაქტორობით გამოცემული, ამ სათაურით Г. Абихъ. Геологія армянскаго нагорья, восточная часть, орографическое и геологическое описаніе.

◆ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ნება მისცა კავკასიის მებაღეობის საზოგადოებას გაჰმართოს გამოფენა მცენარეთ მოვლისა გაგრას, შავის ზღვის პირა. გამოფენა მის უმაღლესობის, პრინც ალექსანდრე პეტრეს ძის ოლდენბურგსკის მფარველობის ქვეშ იქმნება. გამოფენისათვის მშვენიერი ადგილია დათმობილი. ამ ადგილზედ გაიმართება საგამოფენო ფარდულები. ადგილები ექსპონენტებს უფასოდ დაეთმობათ. ექსპონატების წაღება შეიძლება დაკლებულის ტარიფით. გამოცხადებულია მედლები და პრემიები მონაწილეობის მიმღებთა დასაჯილდოვებლად.

◆ გუშინ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ მიიღო ერევნის გუბერნიის, სურმალინის მაზრის, სოფელ იგდირის მცხოვრებთაგან ახლად შედგენილ საზოგადოების „Другъ Крестьянъ“-ის წესდება; სოფლისგან წარმომადგენელნი სთხოვენ საზოგადოებას, განიხილონ წესდება და აღძრან შუამდგომლობა მთავრობის წინაშე მის დასამტკიცებლად. მოგვყავს ზოგიერთი ცნობა ამ წესდებიდგან: საზოგადოებას აზრად აქვს გაავრცელოს ხალხში გაუმჯობესებული სახნავი, საფარცხი, სალეწი და სხვა იარაღები, მასთანავე მან უნდა გაავრცელოს ხალხში მავნებელ მწერის გასაწყობი მანქანები, ხელი შეუწყოს აბრეშუმის ჭიის მოშენებას, აბრეშუმის იარაღის გავრცელებას, ფუტკრის მოშენებას და სხვა-და-სხვა. მან უნდა გაავრცელოს სხვა-და-სხვა ჯიშის საქონელი, გამართოს საქონლის მოშენების ადგილები და შეიძინოს ადგილ მამული, სადაც პრაქტიკულად შეასწავლოს გლეხ-კაცობას ყველა ახლად შემოღებული იარაღის ხმარება; ამის განსახორციელებლად საზოგადოებას შეუძლიან შეიძინოს უძრავი მამული (ნათქვამი არ არის სად და რა გუბერნიებში შეუძლიან საზოგადოებას მამულის შეძენა); მასთანავე მომავალ საზოგადოებას შეუძლიან დაიწყოს ვაჭრობა ყველა მრეწველობის საგნებით, შეუძლიან იშოვოს სესხით ფული ბანკებისაგან. წესდების ძალით საზოგადოებას ეძლევა ნება გამოსცეს წიგნები, ბროშურები, გამართოს საჯარო ლექციების კითხვა და სხვა. საზოგადოებასავე ეძლევა ნება, მონაწილეობა მიიღოს სხვა საქმეებშიაც, შეიძინოს აქციები ამავენაირ საზოგადოებისა; საწევრო ფული დანიშნულია ორნაირი, რომელიც გარდახდებათ სხვა-და-სხვა პირობებით; ერთი კატეგორიისთვის დანიშნულია 50 მანეთი, მეორესთვის 25 მანეთი; სად არის, რომ ერთი რომელიმე ჩვენი სოფლის საზოგადოებაც ამისთანა რამეს მოჰკიდებდეს ხელსა თავისა და სოფლის სახეიროდ.

◆ დაიბეჭდა და უკვე გამოვიდა 50 წლის არსებობის მოღვაწეობის ანგარიში კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა, შედგენილი საზოგადოების მდივნის, ბ-ნ ე. ი. იოსელიანის მიერ.

◆ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების შუამდგომლობისამებრ, მთავრობას განკარგულება მიუხდენია, სასტიკად ადევნონ თვალყური ქუთაისის გუბერნიიდგან შემოტანილს ხეხილსა და ვაზის სანერგეს; რადგანაც ვაზის ავადმყოფობა ამ ბოლოს დროს ქუთაისის გუბერნიაში საშინლად მძვინვარებს; ამის გამოისობით სამეურნეო საზოგადოება იძულებულია, ზოგიერთა შემთხვევაში ჯერ-ჯერობით არ ურჩიონ ამერიკული ვაზის გავრცელება.

◆ როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ტფილისის საბაღოსნო სამეურნეო სკოლის გამგემ საგანგებოდ დაათვალიერა სოფ. კასპში თავ. ერისთავის მამული, სადაც ზაფხულობით უნდა იმეცადინონ საბაღოსნო სკოლის შეგირდებმა; ამ დღეებში სკოლის გამგეს უკვე ჩაუბარებია ადგილ-მამული თავ. ერისთავისა; როგორც სკოლის გამგის მიერ წარმოდგენილ ხარჯთ-აღრიცხვიდგან სჩანს, ამ ადგილების მოსაწყობად საზოგადოებას პირველ ხანში დაუჯდება 729 მანეთი; მასთანავე შეგირდებას უფროს ხელმძღვანელის თანაშემწედ მოწვეულ უნდა იყოს სპეციალისტი, რომელსაც დაენიშნება 500 მანეთი; აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომელიც, ჩვენის აზრით, სკოლას შემდეგში თუ ხელს არ შეუშლის თავის განზრახულების აღსრულებაში, მაინც უხერხულად უნდა ჩაითვალოს; რამდენათაც ვიცით, თავ. ერისთავმა დიდი მოწყალება მოიღო იმ ქველმოქმედებით, რომ უფასოდ დაუთმო თავისი მამული, სადაც მომეტებულ ნაწილად ქართველ თავად-აზნაურთა შვილებმა პრაქტიკულად უნდა შეისწავლონ მიწის შემუშავება; მეორეს მხრით, არ არის აღნიშნული არავითარი პირობა თავ. ერისთავსა და სკოლას შორის, თუ რა უნდა გააკეთოს სკოლამ, როგორ უნდა შეიმუშაოს, ან რა სამუშაოს უნდა შეუდგეს; ან რა უფლებას ანიჭებს თავ. ერისთავი სკოლას და სხვა; ჩვენის აზრით, ამისთანა პირობები საჭირო იყო, რომ სამეურნეო საბაღოსნო სკოლის მოქმედებას თავად ერისთავის მამულში თავიდგან აეცდინა ყველა ის უსიამოვნობა, რაც შეიძლება დაბადოს მომავალმა; ჩვენ, რასაკვირველია, არ წარმოგვიდგენია, რომ იმისთანა ქველ-მოქმედი, როგორც თავ. ერისთავია, წინააღმდეგი გაუხდეს თავის მამულში სკოლის ამა თუ იმ განზრახულების აღსრულებაში მოყვანას, მაგრამ ის-კი ადვილი შესაძლებია, რომ რომელიმე თავადის ამ მამულის მოურავთაგანმა სკოლას უთხრას, არა, მე ეს არ მომწონს რასაც თქვენ აკეთებთ, ან კიდევ, ეს ესე არ უნდა გაგეკეთებინათ და სხვა ამისთანა წვრილმანი რამ მრავალი; აი, ამ მხრით ვგონებთ უხერხულად უნდა მიაჩნდეს საზოგადოებას რამე პირობების უქონლობა.

◆ სოფ. ზემო ავჭალაში, როგორც აუწყებს სოფლის მმართველობა, აღმოჩენილა ხუნაგი; საგუბერნიო საექიმო განყოფილებამ სენის მოსასპობად დანიშნა მაზრის ექიმი, რომელიც უკვე გაემგზავრა დანიშნულებისამებრ.

◆ ხვალ, ქართულ თეატრში, ქართულ დრამატიული საზოგადოების დასის მიერ გამართული იქნება იაფ-ფასიანი წარმოდგენა, წარმოდგენილი იქნება ისტორიული ხუთ-მოქმედებიანი დრამა ბ. ლაზარიაშვილისა.

◆ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრს, აგრონომს ბ. ტარატინოვს, რომელსაც აბარია ყარაიაზში ბამბის სანერგე, სადგურის გამგეობა,—მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსაგან მიუღია ბამბის თესლი, რომელსაც დაევალა ბამბის თესვის მიმდევართ, თუ მოისურვებენ, სამ ფუთამდის თესლი უფასოდ მიეცეთ.

◆ გუშინ-წინ ქალაქის გამგეობას ბ-ნმა ნეჩაევმა მიართვა ქაღალდი და აუწყა, რომ გამგეობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ქალაქში შეშისა და ნახშირის ვაჭრობას; როგორც ბ-ნი ნეჩაევი აღნიშნავს ქაღალდში, ზემოხსენებულ საგნებით მოვაჭრენი უღიერათ ექცევიან მყიდველებს და ხშირად ზომაში და წონაშიაც ატყუებენ მათ და ამით მცხოვრებნი დიდათ ზარალობენო; ამასთანავე ბ-ნმა ნეჩაევმა წარუდგინა სხვა-და-სხვა მოსაზრებანი, რომლითაც, მისის აზრით, შემცირდება მყიდველების მოტყუებაო; სხვათა შორის, ნეჩაევი სთხოვს გამგეობას, დანიშნულ იქმნას კომისსია ან ხმოსანთაგან, ან ქალაქის სავაჭროთა პოლიციის მოხელეთაგან, რომელთაც დაევალოთ, თვალყური ადევნონ შეშის უკეთ დაწყობას და ამასთანავე შეშის გამყიდავთ დაევალოთ იქონიონ ქალაქის გამგეობის მიერ გამოზომილი საზომავი, რომელიც იხმარებოდეს დაწყობილ შეშის საზომავადაო.

◆ დღეს, 5 მარტს, ქართულს თეატრში საქველმოქმედო აზრით გაიმართება ქართულ-სომხური წარმოდგენა, რომელშიაც, სხვათა შორის, მონაწილეობას მიიღებენ ქ.ქ. საფაროვ-აბაშიძისა, ელ. ჩერქეზიშვილისა, ტასო აბაშიძე, ქეთ. ანდრონიკაშვილისა და ბ. მელიქოვისა და ბ-ნნი ვ. აბაშიძე, კ. მესხი და სხვ. ქართულად წარმოდგენილი იქნება: „გემრიელი ლუკმა“ გ. ერისთავისა და „ცოლქმრობის წინააღმდეგ“, სომხურად „თავის ბრალია“.

◆ ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ბ. თამამშევმა შეიტანა განცხადება გამგეობაში და სთხოვა ღონე მიიღოს გამგეობამ, რომ ყველა ხმოსნები გაეცნონ ქალაქის საქმეებსაო; ქალაქის გამგეობამ, განიხილა რა თამამშევის განცხადება, დაადგინა: ემცნოს ბ. თამამშევს, რომ თუ მოისურვებენ ხმოსნები რომელიმე საქმის გაცნობას და ან თუ ბ. თამამშევი იკისრებს შეადგინოს ცალცალკე ჯგუფი ამავე მიზნით, ქალაქის გამგეობა მოვალედ რაცხს თავის თავს ყოველი დახმარება აღმოუჩინოს მათაო.

◆ ტფილისის საგუბერნიო საზეითლო ინსპექტორმა ამ დღეებში წარუგზავნა ტფილისის მაზრის უფროს ოთხი ცალი წიგნაკი, რომელშიაც აღნიშნულია სხვა-და-სხვა ზომები, თუ როგორ შეიძლება აიცდინოს საქონელი ჭირს, ან რა ზომებით შეიძლება მოისპოს ეს ავადმყოფობა და მით დაიცვას ხალხი ზარალისაგანაო.

◆ როგორც მკითხველებს ვაუწყებდით, ტფილისის ხელოსანთა მმართველობამ განიზრახა ააშენოს საკუთარი შენობა, სადაც უნდა მოთავსებულ იქმნას მმართველობა, ამას გარდა განზრახული აქვთ აგრეთვე საკუთარი შენობა ხელოსანთა მომავალი სკოლისათვის და საავადმყოფოსათვის; ამ საქმის განხორციელება ხელოსანთა მმართველობას უნდა მიენდო თორმეტი კაცისათვის, რომელნიც უნდა ამოერჩიათ ხელოსანთა დეპუტატებისა და უსტაბაშების კრებას; ამის გამოისობით, ტფილისის გუბერნატორის ნება დართვით, ამ ახლო მომავალში დანიშნულია ხელოსანთა კრება, რომელზედაც ამორჩეული იქნებიან ზემო აღნიშნული თორმეტი კაცი.

◆ პარასკევს, 7 მარტს, დანიშნულია კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება, რომელმაც უნდა მოისმინოს საზოგადოების წევრის ბ-ნ საკოვის მოხსენება „საერო დაწესებულებების შემოღება კავკასიაში“.

◆ რადგანაც ზოგიერთა ხელოსანთა დეპუტატებზედ და უსტაბაშებზედ ირიცხება სხვა-და-სხვა გარდასახადი და ეს გარემოებაკი უშლის ამ თანამდებობებზედ არჩევნების დანიშვნას, ამიტომ ხელოსანთა თავმა მიმართა ამ თანამდებობის აღმსრულებელთ და სთხოვა, წარმოადგინონ სავალდებულო გარდასახადი ერთი კვირის განმავლობაში; ვინც ამ ხანში არ შემოიტანს სავალდებულო გარდასახადს, იგი პასუხის გებაში იქმნება მიცემულიო.

◆ დღეს დანიშნულია ქალაქის ხმოსანთა ჩვეულებრივი კრება.

◆ ტფილისის გუბერნატორმა მიმართა ქალაქის ხელოსანთა თავს და სთხოვა, ამორჩეულ იქმნან ხელოსანთა მმართველობაში სხვა-და-სხვა თანამდებობის აღმასრულებელნი.

◆ კვირა-უქმეობით რუხის ქუჩაზედ ბაზრობის გამმართავთ ქალაქის გამგეობას მიართვეს ქაღალდი და სთხოვეს, წარსული კვირის სავაჭრო გარდასახადი გვაპატიეთ, რადგანაც იმ დღეს, სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო, ხალხი არ მოგვკარებია და ვაჭრობა არა გვქონიაო.

◆ გამგეობის წევრმა, ქალაქის ამშენებელ განყოფილების გამგემ, ბ. ენფიანჯიანცმა, გამგეობას წარუდგინა თავისი კერძო მოსაზრებანი საჰიდრავლიკო ელექტრონის სტიპენდიის შესახებ.

—

ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება. შაბათს, 3 მარტს, ქალაქის საბჭოს დარბაზში მორიგი კრება ჰქონდათ ქალაქის საბჭოს ხმოსანთ, ქალაქის თავის მოადგილის ბ-ნ შესტაკოვის თავმჯდომარეობით.

პირველად წაკითხულ და უცვლელად დამტკიცებულ იქმნა წინა კრების ოქმი.

ხმ. ხუდადოვი. ბ-ნო თავმჯდომარე, ნება მომეცით ორიოდე სიტყვა ვსთქვა ქალაქის მცხოვრებთა ამა თუ იმ საჭიროების შესახებ.

ბ-ნი შესტაკოვი. შემდეგ სთქვით, როცა მაგ საგანზედ ჩამოვარდება ბაასი. ახლა-კი არ შეიძლება.

ხმ. ხუდადოვი. რომელის მუხლის ძალით?

ხმ. ევანგულოვი. მე უკანონოდ მიმაჩნია ამ შემთხვევაში თავმჯდომარის მოქმედება. აქამდე ჰქონდათ ხმოსანთ ნება მცხოვრებთა საჭიროების შესახებ თავის აზრის გამოთქმისა, ამიტომ ახლაც აქვთ ეს ნება.

ამ საღამოს განხილულ იქმნა გამგეობის დადგენილება მნაცაკანოვის ხიდის იჯარით გაცემის შესახებ; ეს ხიდი ქალაქს იჯარით გაუცია 1900 წ. 7600 მანეთად. ხიდი აღებული ჰქონია მამინაიშვილს, მაგრამ ამ წელს გასულა იჯარის ვადა. წელს გამგეობას დაუნიშნავს იჯარით გაცემა ხიდისა; გამოცხადებულან მსურველნი იჯარით აღებისა; ერთს შეუძლევია გამგეობისათვის 5800 მანეთი, მეორეს—6000 მანეთი. გამგეობას ეს ფული უცოტავნია და მეორედ დაუნიშნავს იჯარით გაცემა. ეს ყოფილა ამა წლის 27 თებერვალს, მაგრამ არც ერთი მსურველი არ გამოჩენილა. გამგეობას ამის შემდეგ დაუდგენია, აღარ გასცეს იჯარით ხიდი და თვითონ აწარმოვოს საქმე.

ხმ. ალიხანოვი. გამგეობა გვირჩევს, ჩვენ ვაწარმოვოთ ხიდიო, მაგრამ, გამოცდილებით ვიცით, რა მოგებასაც ვნახავთ. ამას გარდა, გამგეობას დიდ-ძალი საქმეები აქვს და სად შესძლებს ხიდის თვალ-ყურის დევნებას? ჩემის აზრით, აუცილებლად საჭიროა, ახლად დაინიშნოს იჯარით გაცემა.

ხმ. ევანგულოვი. მე მინდა გავიგო, რატომ არ მუშაობს მუხრანიანთ ხიდთან ბორანი?

ბ-ნი შესტაკოვი. ილაპარაკეთ საგანზე..

ხმ. ევანგულოვი. მე საგანზედ ვლაპარაკობ; რატომ არ მუშაობს ბორანი?

ბ-ნი შესტაკოვი. იმიტომ, რომ იქ ბევრს რასმე გასწორება უნდა; კარგა ბლომად არის ფული საჭირო, ეს-კი ქალაქს არ შეუძლიან.

ხმ. ნ. არღუთინსკი. ახლად დავნიშნოთ იჯარით გაცემა ხიდისა: ამასთანავე გამგეობამ გამოიძიოს, რა მიზეზია, რომ იჯარის აღების მსურველი ცოტაა.

ეს წინადადება კრებამ თითქმის ერთხმად მიიღო.

ბ-ნი შესტაკოვი. ამას წინად ხმ. ხუდადოვი შემოეკითხა გამგეობას, როგორი წესი სუფევს ცხენის რკინის გზაზეო. ამ საგნის შესახებ ცნობათა მოწოდება მოვთხოვეთ ცხენის რკინის გზის მეთვალყურე კომისიას, რომელსაც უწესოება ბევრი უნახავს; კომისიას შეუნიშნავს რომ ცხენის რკინის გზისმატარებელი საათში $6^1/_2$ ვერს მეტს არ გადის, თუმცა 8—10 ვერსი უნდა გაიაროს. კომისიას უსახელო საზოგადოება ხუთის მანეთით დაუჯარიმებია.

ხმ. ხუდადოვი. იმედი მაქვს, ახლა მომცემთ იმის თქმის ნებას, რის თქმაც კრების დაწყებისას მინდოდა. 1) გამგეობამ რატომ აქამო-

ფელეტონი

სოფელი და სოფლელნი

(დასასრული მეშვიდე წერილისა *)

თავად-აზნაურობის ვითარება და გავლენა

გულნატკენმა ძველმა თაობამ საზოგადოებას წინააღმდეგობა არა გაუწია-რა, მოძმეთა შორის ბრძოლა იუცხოვა, უარ-ჰყო და ახალ (მესამოცე წლების) თაობას დაუთმო ბურთი და მოედანი; ამასთანავე არამც თუ ახალთაობისადმი მტრობა რამ გულში გაიტარა, არამედ ყოველ გვარ დახმარებას და შემწეობას აღმოუჩენდა ხოლმე, როცა-კი დრო და გარემოება ნებას აძლევდა.

დააკვირდეს ყველა, ვისის მეოხებათა და გავლენით დაწესდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, სკოლის საზოგადოება, დრამატიული საზოგადოება, საადგილ-მამულო ბანკები?..

ყველა დაწესებულებანი და მთლად საზოგადო საქმეები მესამოცე წლების თაობამ ჩაიბარა და შემდეგ განაგებდა თავის ნებაზედ. მთელი საზოგადოება მისი მოტრფიალე და ყურ მოჭრილი მომხრე შეიქმნა. ყველა იმის აზრს აჰყვა: „ჩინოვნიკობა“ სათაკილოდ გახდა, ყველა მეფელეტონე და რეპორტიორი შარავანდედით შეიმოსა; იმ დროს მამულიშვილად მხოლოდ ის ითვლებოდა ვინც ამ თაობის მომხრე იყო.

მერე გაამართლა ახალმა თაობამ ასეთი თანაგრძნობა და ნდობა საზოგადოებისა? მოუპოვა საქართველოს ახალის ცხოვრების საფუძველი, გზა გაუკვლია საბედნიეროს? ნივთიერი ძალ-ღონე რამ შეჰმატა და შესძინა?..

ყველა, ვინც აწმყო ვითარებას დააკვირდება, ადვილად იტყვის პასუხს...

საზოგადოება რომ მოხიბლული და მოტყუებული არა ყოფილიყო, მალე მიხვდებოდა და დარწმუნდებოდა, რომ მესამოცე წლების ახალგაზრდობას არავითარი საფუძვლიანი, საიმედო ცხოვრების დედა-აზრი შემუშავებული და გარკვეული არა ჰქონდა-რა, პროგრამა არ ებადა და თითონაც არ იცოდა, რას ეტრფოდა და რა უნდოდა...

ახალ თაობის წარმომადგენელნი, რაკი საზოგადო ასპარეზობის ბურთი და მოედანი ხელთ იგდეს, დაერივნენ ერთმანეთს: ერთიერთს გაიძახოდა, მეორე—მეორეს; მათ შორის უთანხმოება და ქიშპობა მუდმივი გახდა; ყოველი მოღვაწე იმის ცდაში იყო, რომ თავისი მოძმე დაემხო. ეს ბრძოლა ურთიერთ შორის იმის შედეგი არ იყო, რომ ერთიმეორის დედა აზრს, ანუ პრინციპიალურს მიმართულებას არ ეთანხმებოდა. ამ ხანას არავითარი პრინციპიალური აზრი, არამც თუ შეუმუშავებია, არამედ სჯა და ბაასიც არავის არ აღუძრავს. ყველა მარტო კერძო აზრს, უცაბედად გამოთქმულს, იცავდა, მხოლოდ თავის თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად და არა იმის მიხედვით, ამა თუ იმ აზრის განხორციელებას რა შედეგი მოჰყვებოდა სამშობლოსათვის.

სხვა რომ არა მოვსთხოვოთ რა, ახალი თაობა ვალდებული იყო გლეხკაცობისათვის მაინც ეზრუნა და რამ გზა გაეკვლია მის ნივთიერ და სულიერ კეთილდღეობისათვის, რადგან სიტყვით მისი დიდი მომხრე იყო და მისის სახელით ებრძოდა ძველ თაობას და თავად-აზნაურობას; მაგრამ იმ დღიდანვე, როდესაც დიდებულმა რეფორმებმა შეარყია სოფლის ძველი წესწყობილება და გაანთავისუფლა გლეხკაცობა ბატონ-ყმობისაგან, და ახალი დიდებული ხანა ჩვენს ცხოვრებას ახალ საბედნიერო გზას უქადიდა, მესამოცე წლების ინტელიგენციამ, პრესამ, ლიტერატურამ ყველაფერს თავი მიანება: ყველას ისე მიაჩნდა, რომ რაკი ბატონ-ყმობა მოისპო, სოფელში თავის-თავად საუკეთესო ცხოვრება დამყარდებოდა, სოფელი სამოთხედ შეიქმნებოდა და ამ ედემში თხა და მგელი ერთად მოთავსდებოდნენ. ამ ბედნიერ დროს ვინ აქცევდა ყურადღებას ახალ ჩასახულს ძალას, მოვახშეს, სოფლის წურბელას, მოქალაქის გაბატონებას და ბევრს სხვას. არავითარი შესწავლა სოფლისა, სოფლელთა ცხოვრებისა თითქოს არავისათვის სავალდებულო არ იყო.

ამ დროს ყველა, ვისაც სურდა ქართველ ინტელიგენტის სახელი მოეხვეჭა უშრომოთ და ახალ დროის მედროშედ ჩათვლილიყო, გატაცებით იმას გაიძახოდა, რომ თავად-აზნაურობა უნდა დაიმხოს, როგორც თავი და თავი მიზეზი წარსულის უბედურობისა და აწმყო უნუგეშო ყოფა-ცხოვრებისა, და რომ მხოლოდ გლეხკაცია ის ძალთა-ძალა, რომელიც უნდა ამ წოდების მოადგილედ გახდეს, მხოლოდ გლეხკაცია ის დიდა-ბოძი, რომელზედაც უნდა საქართველოს სვე-ბედი დამყარდესო. ამ დროს ყველას პირზედ მხოლოდ ეს ეკერა: გლეხკაცს საკმარისი მიწა უნდა ეჭიროს, გლეხკაცს მიწა უნდა მიეცეს, გლეხკაცისაა მიწა, მიწის მეფე მხოლოდ გლეხკაცია და სხვა.

„ინტელიგენტი“ ამას გაიძახოდა, და იმასკი არავინ იკვლევდა, როგორ და რა ღონისძიებით უნდა გამხდარიყო გლეხკაცი მიწის მფლობელი.

სით ეცალათ მესამოცე წლების მოღვაწეთ, რათა გაეხორციელებინათ ეს აზრი! სიტყვით „პატრიოტებ-დემოკრატებმა“ საქმით სულ სხვა მიმართულება ირჩიეს: აჰყვნენ მაშინდელ უმრავლესობას და ქეიფით და ზეიმით აგვირგვინებდნენ ყოველს პატრიოტულს ლექსს: „ვაშა—ვაშას“ ძახილს და სუფრულ „მრავალ-ჟამიერს“ თან მოსდევდა მამულების დაგირავება და გაფლანგვა!..

ამ საერთო ცხოვრებამ და მიმართულებამ მტკიცე და განუშორებელი კავშირი შეჰქმნა მესამოცე წლების მოღვაწეთა და მაშინდელ გახრწნილ საზოგადოების შორის. ამათ გააბეს საერთო ფერხული, ერთმანეთს შეჰხაროდნენ, მხიარულად ატარებდნენ დროს, და საერთოდ ჰგმობდნენ იმ წარჩინებულთ, რომელნიც მამულს ეტრფოდნენ, ყოველ ტკაველ მიწას ზედ დაჰკანკალებდნენ და თავის მამულს აფართოვებდნენ, ქონებას აძლიერებდნენ.

ამ ხანამ უფრო და უფრო გახრწნა ქართველი საზოგადოება და დაარჩია მხოლოდ ლათაიაობას, ლაზღანდარობას, პატრიოტულ ბოდვას. ამ დროს უფრო საგმობი შეიქმნა: „ყაირათობა“, „ვაჭრობა“, „ჩინოვნიკობა“, „თავად-აზნაურობა“. . ყველა განათლებული თაყვანსა სცემდა გლეხ-კაცს და მეურნეობას მხოლოდ სიტყვით, და საქმით კი როგორც ერთს, ისე მეორეს ღალატობდა და მათ საბედნიეროდ არაფერს არ აკეთებდა: განათლებული ქართველობა სოფელს გაექცა და მოეწყო ქალაქს, სადაც სიცოცხლე ყოველგვარ სიამოვნებით იყო გარემოცული...

თუ ჩვენი საზოგადოება, ჩვენი „სოდომი და გომორი“ სრულიად არ აღიგავა დედა-მიწის ზურგიდან, უნდა მივაწეროთ იმ მართალთა და პატიოსანთა მოღვაწეთა წყალობას, რომელნიც არ ჩაერივნენ საზარელ ფერხულში და ლიტერატურულისა და პედაგოგიურის შრომით სცდილობდნენ როგორმე მიჰშველებოდნენ თავ-გზა-დაბნეულს საზოგადოებას, რომ ახალი თაობა მაინც გამოზრდილიყო სამშობლოსათვის საიმედო.

მესამოცე წლების მოღვაწეთა აზრისა და ქადაგების წყალობით, რაკი „ჩინოვნიკობა“

---

*) იხ. „ივერია“ 1902 წ. №№ 26, 27, 37, 51, 52, 60, 65, 94, 96, 252, 260; 1903 წ. № 40, 43, 47.

მდე ყურადღება არ მიაქცია ტატიანას ქუჩას, რომელიც ძალიან ცუდი გასავლელია წვიმის დროს? არ ედვა ნეტავ გამგეობას ვალად მისი მოკირწყვლა? 2) ორმოები წყლის ჩასასხმელად ქუჩებზე ყველგან რატომ არ არის, ან ამის შესახებ ჰზრუნავს რასმე გამგეობა?!

ბ-ნი შესტაკოვი. ქალაქის დებულობის ძალით, მაგ კითხვის პასუხს მოგცემს გამგეობა ერთ-ერთს მორიგს კრებაზე.

ხმ. ხუდადოვი. ცხენის რკინის გზის მატარებელი არ გადის $6\frac{1}{2}$ ვერსს საათში. მე ბევრჯელ გავასწრებ ხოლმე ფეხით, საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ამ საქმეს.

ხმ. ევანგულოვი. აღმასრულებელ კომისიას ყურადღება უნდა მიექცია ამ გარემოებისათვის.

ბ-ნი შესტაკოვი. საყვედურს ნუ ეუბნებით კომისიას.

ხმ. ევანგულოვი. თუ საყვედურის ღირსია, თავმჯდომარესაც არ დავერიდები.

ხმ. სულხანოვი. (აღელვებული წამოდგება) მე არ მესმის, ხმოს. ევანგულოვი როგორ ჰკიცხავს კომისიას ასე უსაფუძვლოდ? მეც კომისიის წევრი ვარ. ჩვენ საყვედური არ დაგვიმსახურებია. ჩვენ ხომ შრომაში სასყიდელი არ აგვიღია?

ხმ. ევანგულოვი. (სულხანოვს) კარგი, მომრიგებელო მოსამართლე!

ხმ. სულხანოვი. მე მომრიგებელი მოსამართლე არა ვარ. მე ხმოსანი ვარ.

ხმ. ხუდადოვი. (უცებ წამოხტება) ხმოსანს სულხანოვს ვინ მისცა ნება, რომ ლაპარაკობს?..

ხმ. სულხანოვი. შენ ვიღამ მოგცა ნება, რომ შენიშვნას მაძლევ? (ხუდადოვი ჩუმად ჯდება).

ხანგრძლივი კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა, მეტი ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს.

კახეთის რკინის-გზა.

ქალაქ ტფილისში დაიბეჭდა და უკვე დარიგდა პრაკლამაციები შესახებ კახეთის რკინის გზის თიანეთზედ გაყვანისა. ამ ამბავმა მეტად ასიამოვნა კახელი და გაუღვიძა ის იმედი, რომ ამ კეკლუც და ბუნებით მდიდარს ქვეყანას, ხოლო უგზოობით დაქვეითებულს, კვლავ ეშველება მოეწიოს იმ ამიერ კავკასიის ადგილებს, რომლებიც თუმცა ბუნებით ნაკლებ მდიდარნი არიან, მაგრამ რკინის გზის მეოხებით მეტათ და ადვილათ ასაღებენ საქვეყნო ბაზარზე თავის მამულის ნაწარმოებს.

პრაკლამაცია გვიცხადებს, რომ თავ. ნ. დ. ჭავჭავაძის მეთაურობით დაარსდა კახეთის რკინის გზის საზოგადოება და სთხოვს მემამულეთ, ხელი შეუწყონ ამ საქმეს, ჩამოვიდნენ თვითო დესეტინა მიწაზე ხუთ-ხუთი მანეთს და ამ სახით შესდგება სააქციონერო ორ მილიონ ნახევარი თანხა, რომელიც თურმე საკმარისია ამ საქმის აღსასრულებლათ, რადგან ეს თანხა საკმაო საბუთია მოიზიდოს დანარჩენი ცხრა მილიონ ნახევარი საობლიგაციო თანხა საზღვარ გარეთიდან.

ამ სახით სანატრელი რკინის გზა ერთ დღეს მედგრათ კაათამაშებს კახეთის არემარეში. შემდეგ, პრაკლამაცია მოგვითხრობს, რა შედეგი ექნება ამ საქმეს, რა სარგებლობას მოუტანს თვით მემამულეებს და სხვა-და-სხვას. მართლაც, ფასი მამულებისა აიწევს, წლიური მოსავალი სწრაფად და კარგ ფასად გასაღდება.

გარდა ამისა, რამდენიმე ყმაწვილი კაცი, ამ ჟამად უსაქმოდ მოსიარულე, იშოვნის შრომისათვის ნიადაგს! თუმცა ეს უკანასკნელი გარემოება ბუნდათა სჩანს პრაკლამაციაში, მაგრამ მაინც ყველა მიხვდება ამას.

კარგი და პატიოსანი. ნუ თუ ვინმე გამოჩნდება და ამ საქმეს ხელს შეუშლის და პირიქით ყოველ თავის ძალღონეს არ შეალევს, რომ რითიმე უშველოს? არა მგონია!

ხოლო კანონიერი იქნება ვკითხოთ პრაკლამაციის ავტორს: თუ ასე ადვილად განხორციელდებოდა ეს საქმე და ამაზე მეტი არა უნდოდა-რა, აქამდის სად ბრძანდებოდა? ამ სამ-ოთხ წელიწადს რადა გვტანჯა უგზოობით და რად დაგვიკარგა სარგებლობა და ბედნიერება, რომელსაც დღეს გვიქადის. ეს ხომ აშკარად ვიცით, რომ კონცესია დიდი-ხნის მიღებული იყო, თვით მემამულენიც თავიანთ მამულ-დედულით აქ იყვნენ და თუ დღეს ჩამოვლენ ზემოთ ნაჩვენებ ხუთმანეთს, განა სამი-ოთხის წლის წინად ვერ ჩამოვიდოდნენ? ამის პასუხად კონცესიონერები გვეუბნებიან რომ აქნობამდე ამ საქმის სულის ჩამდგმელი არა გვყავდაო და დღეს-კი გამოგვიჩნდა ამგვარი კაციო. ეს კაცი გახლავთ ვგონებ განგებ ამერიკიდან მოსული ბ-ნი ლამარკი, რომელიც სამეურნეო საზოგადოების კრებაზე კონცესიონერების მომხრეთ ტაშის ცემით დააჯილდოვეს სწორედ მაშინ, როდესაც გულუბრყვილოდ გამოგვიცხადა თვისი აზრი ქართველებზე; ლამარკმა გვითხრა: თქვენ კეთილი ხალხი ხართ, გულუხვი მასპინძლები, სტუმართ-მოყვარული, წერაც-კი იცით, და გამოჩენილი მწერლებიც-კი გყავთ, მაგრამ ერთი რამ სენი გჭირთ — შურიანი, ცილის მწამებელი და უაზრონი ხართ, რადგანაც ვერ მოგიხერხებიათ თქვენის საქმის ადვილად გაკეთება. რა უნდა ამ საქმეს? ჩამოდით ხუთ-ხუთი მანეთი დესეტინაზე, ამ სახით შეაგროვებთ საჭირო ორ მილიონ ნახევარ თანხას. ჯერ-ჯერობით დასაბუთებული ტეხნიკური გამოკვლევა საჭირო არ არის და არ მესმის, რისთვის ისმენთ თ-დ ანდრონიკაშვილის მოხსენებას, ინჟინერ აკორენკოს სიტყვას და დროსა ჰკარგავთო! თუმცა ეგენი ინჟენერები არიან, მაგრამ მე უფრო მცოდნე ვარ ამ საქმისა და ამასთან ჩემის აზრისაა მაგათზე არა ნაკლები ინჟინერი ბ-ნი სიმბერგიო.

კონცესიონერებმა, გარდა ლამარკისა, წამოაყენეს ერთი უცნობი სტატისტიკოსი, რომელმაც წარმოადგინა ისეთი უტყუარი ცნობა, რომ გურამიშვილის ვენახი საგურამოს 500 დესეტინა არისო, როდესაც იგი არ აღემატება 70 დესეტინას და ივრის ხეობაში არც პურია, არც თივა, არც წყალიო და, ცოტას გასწყდა, ისიც არა სთქვა, რომ არც თვით ივრის ხეობა არისო.

კონცესიონერებს ისეთი ვიგინდარებიცა ჰყოლიათ, რომლებმაც ლოღიკა და მეცნიერება დომხალივით აურიეს და ბოლოს თვითონვე ვეღარ გაარჩიეს ვერც ლოღიკა და ვერც მეცნიერება.

(დასასრული იქნება)

საგონებელი

I

ვინ არის პატრონი?

ნეტავი თქვენ, თუ სოფლის კორესპონდენციებს არა კითხულობთ! მე-კი რედაქციის შინაური კაცი ვარ და უნდა ვიკითხო. ვიკითხო არა მხოლოდ დაბეჭდილი კორესპონდენციები, არამედ ის ბევრის-ბევრი სოფლის წერილიც, დასაბეჭდად რომ დაიწერა, დაბეჭდვას-კი თავის დღეში არ ეღირსება. რა უშავს? ეგეც ერთი ხელობაა, კორესპონდენციების კითხვა და არც ისეთი ძნელი იქნებოდა, ერთი გულისაკლავი ხასიათი რომ არ სჭირდეს.

ათში ერთი კორესპონდენცია ისე არ გაივლება, რომ კორესპონდენტმა თავის ნაამბობს არ დასძინოს: ვინ არის პატრონიო!?. და ეს უბრალო ფრაზა ყოველთვის გულს მიკლავს.

აბა ყური დაუგდეთ:

ჩვენს სოფელშიო, იწერება ერთი, თუმცა სამასზედ მეტი კომლია, მაგრამ არც სკოლა გვაქვს და არც წიგნთ-საცავ-სამკითხველო. ას კაცში ერთმა ძლივს იცის წერა-კითხვა და ამოდენა ხალხი ბნელ-უკუმეთში იმყოფება... ვინ არის პატრონი?

მეორე: წარსულს ზამთარს ჭვავი ძვინვარებდა და აქაურ მცხოვრებთაგან თითქმის ნახევარი ამ წუთისოფელს გამოასალმაო და ამ ჟამად-კი მუცელა ბავშვებს ისეთს მუსრსავლებს, ლამის სულ ამოსწყვიტოს... მაგრამ ვინ არის პატრონი?

მესამე: ჩვენის სოფლიდგან ქალაქამდე სულ ათი ვერსია, მაგრამ უგზოობის გამო ეს მანძილი ასს ვერსსაც უდრის. სოფლიდგან კაცი რომ გავიდეს, თითონ და მისი ხარიც ყელამდე ტალახში იფლობა. ვერც გასასყიდი გაგვიზიდნია და ვერც ნაყიდი შემოგვიტანია... მაგრამ ვინ არის პატრონი?

ჩვენ-კიო, — იძახის მეოთხე — ყოველ მხრივ უკლებნი ვართო: სკოლაც გაგვიხსნეს და სამკითხველოცა, გზებიც კარგი გაგვიკეთეს და ქსენონიც გაგვიმართეს, — ერთის სიტყვით, ჩვენს ბედს ძაღლიც ვერ დაჰყეფს, ერთი უბედურება რომ არ გვჭირდეს. ჩვენს სოფელს ჩამოუდის ერთი დიდი ხევი და წვიმის დროს ისეთი ნიაღვარი მოვარდება ხოლმე, რომ ვერა უძლებს-რა. შარშან ზაფხულს წყალმა ოცი სახლ-კარი ისე წალეკა, რომ ხსენებაც აღარ დარჩა, და ახლა, წყალდიდობის დრო რომ მოახლოვდა, ხალხი გულის ფანცქალით მოელის უარესს უბედურებას... მაგრამ ვინ არის პატრონი?!.

მოდი და გული ნუ მოგიკვდება, როცა ასეთს ქართულს სიბეჩავესა და უმწეობასა ჰხედავ! თუ კორესპონდენტი ადგილობრივ მკვიდრთა გულის-ნადების წრფელი გამომთქმელია, რა უთაური უნდა იყოს ხალხი, რომელიც თავისავე საქმის პატრონს სადღაც ეძებს და ვერ მიმხვდარა, რომ ეგ პატრონი თითონვე არის?!.

მაგრამ ყველა კორესპონდენტი მაგისთანა გულ-უბრყვილო როდია. ზოგი ძალიან გამჭრიახეა, შეგნებული და მიზეზთა მიზეზის მეძიებელი. ამისთანას არ გამოეპარება არც სიბოროტის სათავეო და არც მისი წამალი. — იცის ვინც არის ჩვენის საქმის პატრონი და, თუ გაამწარეს, გვანიშნებს კიდეც... დიპლომატიურად.

პოლიტიკი კორესპონდენტი რომ სოფლის გაჭირვების ამბავს გაათავებს, გულ-ამღვრეული დასძენს ხოლმე: „დროა, ბოლო მოეღოს ამ უგვანობასაო!“ (პორა პოლოჟიტ კონეც ეტომუ ბეზობრაზიუ), ან უფრო გაბედულად: „დროა, ყურადღება მიექცეს ამას, ვისიც ჯერ არს!“ (პორა ობრატიტ ნა ეტო ვნიმანიე, კომუ ვედატ ნადლეჟიტ)... ეხლა ხომ მიხვდით, ვინც არის საქმის პატრონი. — ვერა? საუბედუროდ, კორესპონდენტს პირში წყალი უდგას, თორემ დაგისახელებდათ. მიიხედ-მოიხედავდა და ათრთოლებულის ტუჩებით ჩაგჩურჩულებდათ: პ-პ პრისტავიო.

გამოჩნდა ღვთისნიერი კაცი, დაიპატრონა ჩვენს საქმეს და შეუდგა მის ასრულებას. — მადლობა ღმერთს, რა მადლიერნი უნდა ვიყვნეთ და რა უნდა გვიხაროდეს! — არა?, თქვენც არ მოუკვდეთ ჩემს თავს, ისე მედგრად ეძგერებიან ჩვენი კორესპონდენტები, თითქო პატრონი-კი არა, — ქვეყნის მტერი იყოსო, რას არ დააბრალებენ? თვითნებააო, თავ-მოყვარე და თავ-კერძი. მხოლოდ პირადს გრძნობას მისდევს და არა საზოგადო ინტერესს ემსახურებაო. ყველა მისი საქციელი და ნამოქმედარი ცუდია, ბოროტი და მავნებელი. მისს პატიოსნებასა და უანგარობაზედაც ეჭვს შეიტანენ. ერთის სიტყვით, არაფერს მოუწონებენ, ყველას დასწამებენ და სიცოცხლეს ჩაუშხამებენ.

მერე, როგორ ითმენთ მაგისთანა პატრონსა და საქმის გამკეთებელსაო? იკითხავს ეჭვიანი მკითხველი. მართლადაც, ძნელი დასაჯერებელია ასეთი ბრალდება, მაგრამ კორესპონდენტს აქაც აქვს გასამართლებელი საბუთი: დიაღმაც ვითმენთ, რადგან — ვინ არის სიტყვის გამცემი?

თუ საქმეს არავინ აკეთებს, — ვინ არის პატრონი? თუ აკეთებს ვინმე, — ვინ არის სიტყვის გამცემი? ეს არის ცხოვრების ფილოსოფია სოფლის კორესპონდენტისა.

სასაცილოა, — განა? — ასეთი ფილოსოფია, მკითხველო, სოფლის კორესპონდენტებზედ ზეით-დაღმა დამცქერავო? ან სხვა რა სიბრძნეს უნდა მოელოდე სოფლის მასწავლებლებისაგან, სოფლის მღვდლისაგან, წვრილფეხა აზნაურისაგან? მაგრამ, აბა, ზეით აიხედე, თუ დიდრონნიც უარესს არ სჩადიან. — განა ჩვენნი ეგრედ წოდებულნი საზოგადო მოღვაწენი იმავე ფილოსოფიის მიმდევარნი არ არიან?

ჩვენის საერო საქმეებისათვის რომ სადღაც პატრონი არ გვეძებნა და ჩვენი საქმე ჩვენვე გვეკეთებინა, განა ასე დაცემული იქნებოდა ჩვენი ეკკლესია, სიტყვიერება, მეურნეობა და მრეწველობა, როგორც ახლაა?

იმის მაგიერ რომ ვიშრომოთ, განა არა სჯობს გულ-ხელ დაკრეფილი ვისხდეთ და ერთმანერთს ვეკითხებოდეთ: ვინ არის პატრონი? — დიაღ, ოღონდ მე ნუ გამაკეთებინებ ჩვენს საერთო საქმეს, და შენც არ დაგავალებ მის პატრონობასაო. ამაზედ საამო თავისა და ერთმანერთის მოტყუება რომელი-და იქნება?

ხასიათის სისუსტე და შრომის შიში ჩამომავლობით მოგვსდგამს. ეგების ჩვენის წინაპრების ცოდვისათვის ვისაჯებით, ეგების ეს მუქაფაა ბატონ ყმობის უსამართლობისა, — ეს კი ცხადია, რომ, ორი ათასის წლის შემდეგ, ქართველმა ერმა საქმის გაკეთება ვერ ისწავლა და ჩვენც მხოლოდ საქმის გაკეთებინება ვიცით.

„ბატონი ყმასა ასაქმებს“ — თამარ მეფის დროს და ჩვენს დროსაც. მას აქეთ ამ წესმა მხოლოდ ფერი იცვალა, შინაარსი-კი იგივეა. მაშინ ბატონი ერთი იყო და ყმა ბევრი: ყმები საქმობდნენ, ბატონი-კი თავს დაადგებოდა და ხან ერთს შეუტევდა, ხან მეორეს. ახლა-კი მუშა ერთია და ბატონი მრავალი: თუ მუშაკმა საერთო საქმეს ხელი მოჰკიდა, საიდგან არ გინდა, რომ „საზოგადო მოღვაწე“ არ გამოჩნდეს! თავს დაადგებიან ეს ბატონები მუშაკს და ხან ერთი შეუტევს, ხან მეორე.

ქალაქელი.

ჩვენებური ამბები

ყვირილა. თებერვლის 26 მოხდა დაბა ყვირილის წიგნთ საცავ სამკითხველოს წევრთა საზოგადო კრება. სამკითხველოს 44 წევრი ჰყავს, მაგრამ მხოლოდ 15 მდე დაესწრო. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ვ. არდიშვილი. კრებას უნდა დაემტკიცებინა საზოგადო კრებისაგან იანვრისათვის გადადებული 1902 წ. შესავალ-გასავლის ანგარიში, რომელიც, როგორც რიგი მოითხოვდა, ისე ვერ იყო შედგენილი, და ამიტომ დიდი კამათი ასტყდა. ხანგრძლივ მსჯელობის შემდეგ, ანგარიში დაამტკიცა კრებამ. იანვარში ამორჩეულმა გამგეებმა თავის თანამდებობაზედ ყველამ უარი განაცხადეს; გამგეობის ასეთმა საქციელმა ყველა გააკვირვა. კრება შეუდგა ახალ გამგეების არჩევას კენჭის ყრით. ამორჩეულ იქმნენ: ბ. ი. ჯინჭველაშვილი, რომელმაც აღუთქვა კრებას ხსენებულ სამკითხველოს სასარგებლოდ რამდენისამე კონცერტის გამართვა, რისთვისაც საზოგადოებამ დიდი მადლობა გადაუხადა, ვ. საყვარელიძე, ნ. ჩხეიძე, კ. საყვარელიძე და ლ. ქიპაშვილი. ხსენებული სამკითხველო ამ ჟამად მეტად ცუდ-მდგომარეობაშია ქონებრივად. ვიმედოვნებთ, რომ ახალი გამგენი თავის ზრუნვა-მეცადინეობას არ მოაკლებენ და როგორმე გამოაბრუნებენ ამ სულთ-მობრძავს სამკითხველოს. დიდი მადლობის ღირსნი არიან ჰუმშურიძის ასული ალ. და ჩირგამის ასული ან. რომელთაც სხვა და-სხვა შემოწირულებათა შეკრებით არა-მცირედი შემწეობა აღმოუჩინეს ზემოხსენებულ სამკითხველოს. იმედია, ეს პატივცემულნი მანდილოსანნი არც მომავალში მოაკლებენ თავის მზრუნველობას ყვირილის დაბეჩავებულს სამკითხველოს.

VOX.

უცხოეთი

საფრანგეთი. გამოქვეყნდა იმ კომისიის მოხსენება, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ნაციონალისტ სივტონის არჩევნების შემოწმება. როგორც ვიწყით, როცა ეს მოხსენება წარედგინება პალატას, ჟორესი ხელახლად აღძრავს დრეიფუსის საქმეს, რადგან ხელთა აქვს ახალი საბუთი მის შესახებ.

მოხსენებაში დაწვრილებითაა აღნიშნული ჩვენება, რომელიც კომისიისათვის მიუციათ სხვა-და-სხვა დასის წარმომადგენლებს. რესპუბლიკელებს უჩვენებიათ, — სივტონმა თავის მეტოქე რადიკალ მეზიურერს უმართებულო ხერხის წყალობით აჯობაო: მისნი მომხრენი — არავითარ ღონისძიებას არა ჰზოგავდნენ ამომრჩევთა მისაბირებლად, — მიჰყვეს ხელი მოსყიდვას, სჰობდნენ განცხადებებს, რომელზედაც მეზიურერის სახელი ეწერა და, დასასრულ, გაავრცელეს საზოგადოებაში მოწოდება, რომელშიაც ვალდეკრუსსოს სამინისტრო „უცხო სახელმწიფოების სამინისტროდ“ იყო მოხსენებული, და მოყვანილი იყო შიგ, სხვათა შორის, ყოფილ სამხედრო მინისტრ გალლიფეს წერილი ვალდეკრუსსოსადმი, რომელიც, ვითომდა, არასა ჰზოგავდა, რომ რუსის სამხედრო სა-

---

საძრახისი და საგმობი შეიქმნა, ამ თანამდებობას გაურბოდა ქართველი ინტელიგენტი და სამშობლოს მართვა-გამგებლობა ჩაჰბარდა უცხო გვარ-ტომობის ჩინოვნიკობას. გლეხ-კაცი დარწმუნდა, რომ მისი მხსნელი, მოსარჩლე და პატრონი მხოლოდ უცხო გვარ-ტომობის მოხელეა. გლეხ-კაცობა ძალიან დაშორდა დაწინაურებულ ქართველობას ..

ამასთანავე გლეხ-კაცობა, სხვათა ჩაგონებით, დარწმუნდა, რომ მხოლოდ ის უნდა ყოფილიყო ერთად ერთი მეპატრონე მიწისა, მაგრამ არ იცოდა, როგორ ეგდო ხელთ სანატრელი მიწა. აბა, რასაკვირველია, ამ დროს გლეხ-კაცობა გადაუდგა თავად-აზნაურობას, რომელსაც იგულკებდა თავის მტრად და თავისი დაბეჩავება ამ წოდებას მიაწერა: უხაროდა ამ წოდების განადგურება და ამიტომ ხელსაც არ გაანძრევდა მის კეთილდღეობისათვის! ყოველ-გვარი ღალატი მებატონისადმი, ქურდობა, ვერაგობა გლეხ-კაცისათვის, საქები შეიქნა.. ხალხიც მეტის-მეტად გაიხრწნა...

მტერი და მოყვარე მიადგა თავად-აზნაურობის ბუდეს და წერაქვით ნგრევა დაუწყო. არავინ დაინდო ისედაც დაქვეითებული და დაბეჩავებული თავად აზნაურობა: „ინტელიგენტი“, მღვდელი, გლეხ-კაცი, მოხელე, ვაჭარი, მოქალაქე, გამვლელ-გამომვლელიც-კი თავად-აზნაურის მტერი შეიქმნა და თითქმის ნახევარ საუკუნის განმავლობაში სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ როგორმე დაემხოთ და მიწასთან გაესწორებინათ ეს მათგან ათვალწუნებული წოდება. თითქმის მიწასთან გაასწორეს კიდეცა, მაგრამ ამით ქვეყანას და გლეხ-კაცობას არამც თუ შეჰმატეს რამ, არამედ დიდად ავნეს და ბევრი პატიოსანი მამულიშვილი სასოწარკვეთილებამდე მიიყვანეს.

მერე, ვისმეს დაარწმუნებ, რომ, სხვათა საზოგადო მიზეზთა გარდა, სწორედ განათლებული ქართველობაც დიდად დამნაშავეა, რომ ჩვენი სამშობლოს სვე-ბედი ესე უკუღმართად დატრიალდა? სულაც არა! თავისს ქცევას, ყოფა-ცხოვრებას განათლებული ქართველი არა აკვირდება, თითქო განგებ ივიწყებს და უსევს ხალხს კიდევ თავად-აზნაურობას, ამასთან ჰგმობს და დიდათ აძაგებს, რატომ თავად-აზნაურობამ მეტი სიფხიზლე არ გამოიჩინა, რატომ მთელის ერის მოთავე და მოსარჩლე არ იყო, რად გაღარიბდა, რად დაეცა, რად უღალატა ბევრმა თავადმა და აზნაურმა სამშობლოსაო, და ეს უკანასკნელნი რად ექცევიან ქართველ მწერლობას, ინტელიგენციას აგრე გულ-გრილადაო!!

ამ სამდურავებს ყოველთვის ისეთი კილოთი ბრძანებენ, თითქო თავად-აზნაურობის საკეთილდღეოდ ინტელეგენციას დიდი ჯაფა და შრომა მიუძღოდეს!!

გასაოცარი სწორედ კიდევ ის არის, რომ ამ სამდურავს ხშირად ის მოღვაწენიც ბრძანებენ, რომელთაც თავის წინაპართა მეოხებით შეძენილი მამულ-დედული გაჰფლანგეს და უცხო გვარ-ტომთა ულუფად გაჰხადეს, თავად-აზნაურობის ოჯახი მიანგრ-მოანგრიეს და ეს წოდება, „მხნე“ და „მოყვარე თავის მიწისა“, დღეს ძალა მიხდილი, სულით დაცემული, გაალატაკეს და ბევრი თავადი და აზნაური ქართველობას მოაშორეს, ქვეყანა, ეკკლესია, გლეხ-კაცობა უთავოდ, უწეს-რიგოდ დასტოვეს და ამით ჩვენი ერი მიწასთან გაასწორეს.

ყველა ზემო აღნიშნულმა გარემოებამ საზარელი აწმყო სურათი შეჰქმნა: თავად-აზნაურობის დიდი უმრავლესობა, რომელსაც წინადაც მცირე მამული ეჭირა ძალიან გაღატაკდა, ძირს დაეცა ნივთიერად და სულიერად, თითქმის პროლეტარიატად გადაიქცა; ამ ჯგუფს მიემატა ის თავად-აზნაურობაც, რომელმაც თავისი მამულები გაფლანგა და ამით გაღატაკდა.

მეორე ჯგუფი თავად-აზნაურობისა, რომელიც უფრო უზრუნველ-ყოფილი იყო, რომელსაც დიდი მამულები ხელთ ეპყრა და ამით საზოგადოებაში მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, გარედ გადგა, მოშორდა ქართველობას და დღეს არავითარ ქართველურ ძალას არ წარმოადგენს, ქეიფობს და ჰფლანგავს იმ მამულ-დედულს, რომელიც დიდის სისხლის ღვრით ქართველმა ერმა დაიცვა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში; ეს ჯგუფი თავად-აზნაურობისა საზარელი, საზიზღარია! ქართველების შემარცხვენელი და დამღუპავია!

მესამე ჯგუფს ეკუთვნიან საშუალო შეძლების თავად-აზნაურნი, რომელთაც მამული ნაკლები უჭირავთ; ამ ჯგუფს თანაუგრძნობს დიდ მემამულეთა უმცირესობა; ეს მესამე ჯგუფი დღეს შეადგენს იმ ერთად ერთ ძალას თავად-აზნაურობისას, რომელიც, შეძლებისა და გვარად, ემსახურება სამშობლოს, ლიტერატურა, და მეცადინეობს ყოველ საზოგადო ასპარეზედ. ეს მესამე ჯგუფი თავად-აზნაურობისა, საუბედუროდ, ერთიან ძალას არ შეადგენს და, თავის მხრივ, ორ ბანაკად არის განაწილებული: ერთი — თავად-აზნაურობას აწმყო ცხოვრებაშიაც დიდ მნიშვნელობას აძლევს და ყოველ ღონეს ჰხმარობს, რომ თავად-აზნაურობა განათლებული, განვითარებული, ნივთიერად გაძლიერებული იყოს, რათა მომავალშიაც შესძლოს აღსრულება იმ მოვალეობისა, რომელიც საქართველომ თავად-აზნაურობის წოდებას არგუნა, ე. ი. მომავალშიაც იყოს მოსარჩლე სამშობლოსი, დედა-ენისა და სარწმუნოებისა; მეორე ბანაკი — ამ პირველს უყურებს ეჭვის თვალით, არა სჯერა თავად-აზნაურობის მამულიშვილობა, არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს ამ წოდებას და სცდილობს ყოველ მის მისწრაფებას წინააღმდეგობა გაუწიოს და ხელი შეუშალოს. ამ ბანაკს ამხნევებს და აძლიერებს დიდი უმრავლესობა იმ ინტელიგენციისა, რომელიც თავად-აზნაურობას არ ეკუთვნის და რომლის კალამი, შრომა და მეცადინეობა თავად-აზნაურთა წოდების საწინააღმდეგოდ არის მიმართული *).

დიაღ, ძმათა ურთიერთ შორის ბრძოლას ყოველთვის უნუგეშო და სავალალო შედეგი მოსდევს. ჩვენც ეს ვიგემეთ.

იმ დროს, როდესაც „ცრუ პატრიოტების“ თავად-აზნაურობის განადგურებას უნდებოდნენ, უცხო გვარ ტომის გლეხ-კაცობამ თავისუფალი და ჩინებული სახაზინო მამულები ხელთ იგდო, მკვიდრად ბინა მოიკიდა და იქიდან დიდ ზიანს აძლევდა და აძლევს ბინადარ ქართველ გლეხ-კაცობას; უცხო გვარ ტომის მოიახშე და მოვაჭრე სწორედ ამ ბინიდან ევლინება ქართველობას.

ამიერ კავკასიაში რაც-კი რამ კარგი და თავისუფალი მამულები იყო, სულ უცხო გვარტომის გლეხკაცობამ შეიძინა უფულოთ, უდავოთ, მშვიდად, წყნარად, იმ გლეხკაცობამ, რომელიც სულ უცხო, შორეული ქვეყნებიდან გადმოიხიზნა.

იმ დროს, როდესაც ჩვენ თვალწინ უცხო გვარტომის ციხე-სიმაგრე აშენდა, ჩვენ, ქართველობამ, დიადი, საქმე მოვაწყეთ — თავად-აზნაურობა გავახელეთ და გავანადგურეთ.

მ. ტფილისელი.

---

*) სამწუხაროდ, თავად-აზნაურთა შესახებ სტატისტიკური ცნობები ჯერ არავის შეუმუშავებია და ამიტომ საზოგადოებაში გავრცელებულია ის ცრუ აზრი, ვითომ ჩვენი თავად-აზნაურობა მამულით უზრუნველ ყოფილია. ნამდვილად-კი დიდ უმრავლესობას თითქმის არავითარი სალსარი აღარა აქვს. შემდეგ გამოვარკვევთ თავად-აზნაურთა მიწადმფლობელობას.

სამართლოსათვის ძალა დაეტანებიათ. პირიქით, ნაციონალისტებმა, რომელთაც კომისია შეეკითხა, სივტონს დაუჭირეს მხარი. ჟიულ ლემეტრმა განაცხადა,—გალდიფეს წერილი, რომელიც მოწოდებაში იყო მოთავსებული, სრულის სინამდვილით არის მოყვანილი. თვით გალდიფემ უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზედ,—ნება არა მაქვს, სამსახურის საიდუმლოება გაგიმჟღავნოთ, ამას მხოლოდ უმაღლესს სამსაჯულოს მოვახსენებო. შემდეგ კომისიამ ჩვენება ჩამოართვა ცნობილ ჟურნალისტს, დრეიფუსის დაუძინებელს მტერს, ჟუდეს, რომელმაც განაცხადა,—გალდიფემ თვით მე წამიკითხა ვალდეკრუსსოსადმი მიმართული წერილი და, მაშასადამე, მისი სიტყვები—სამსახურის საიდუმლოებას ვერ გაგიმჟღავნებთო—მოკლებულია სიმართლეს. ჟუდემ დასძინა,—ვალდეკრუსსომ მოსთხოვა გალდიფეს, დრეიფუსი უნდა გაამართლოთო, და გალდიფეს წერილი სწორედ ამის პასუხი იყო. დასასრულ კომისია იმ აზრს დაადგა, რომ სივტონის არჩევნები სინამდვილით მოხდაო.

— როგორც გაზეთები იუწყება, მოსალოდნელია, რომ ცნობილ ემბერთა საქმე ბრალდებულთა სასარგებლოდ დასრულდეს.

სასამართლომ სრულიად გაანთავისუფლა მარიამ დორინიაკი (ტერეზა ემბერის და). გაზ. „Echo de P.“-ის სიტყვით, ტერეზას წინააღმდეგ არც ერთი მოვალე არა ჰფიქრობს საჩივარი განაცხადოს. რაიცა შეეხება გაკოტრებულ „მუდმივ რენტის საზოგადოებას“, რომელიც ტერეზა ემბერმა დააარსა, ეს საქმე ისე მოხერხებულადაა მოწყობილი, რომ თვით ტერეზა მოსესხედ გამოდის ამ საზოგადოებისა. ამიტომ, ადვილად შესაძლებელია, რომ ყველა ბრალდებულნი სრულიად გამართლებულ იქმნენ.

ავსტრია-უნგრეთი. ამ დღეებში გაუხსნიათ ჩეხთა სასიქადულო მამულიშვილის რიგერის ანდერძი, რომელშიაც, სხვათა შორის, აღმოჩენილა მოწოდება ჩეხთა ერისადმი.

უპირველეს ყოვლისა, რიგერი თავისს გულითადს სურვილს აცხადებს, რომ ჩეხებმა არასოდეს არ უნდა გაიტეხონ გული და არ შედრკენ მტრის წინაშე, მხოლოდ არ გადააჭარბონ-კი და მეტად არ გააზვიადონ თავისი თავი. ერიდნენ სიამაყესა და მედიდურობას; სიფრთხილით მოეკიდონ ყოველს სიტყვას, რომ რაიმე შეუსაბამო და სახიფათო საქმეში არ გაებან მისის წყალობით, რადგან ხშირად ეგოისტები და პატივის მოყვარენი თავისს ტკბილის ენით, რასაკვირველია, პირადის ანგარიშების გასასწორებლად, ისეთს რასმე ჩაადენინებენ ხოლმე ხალხს, რასაც მეტად ცუდი შედეგი მოსდევს. უნდა ერიდნეთ აგრეთვე სხვა ეროვნებათა უსამართლობითა და მიდგომით მოპყრობას.

მხოლოდ თანდათანობით, ფიზიკურისა და გონებრივის შრომით, ჩეხები უფრო ადვილად შესძლებენ უზრუნველ ჰყონ თავისი საუკეთესო მომავალი.

შემდეგ რიგერი აცხადებს სურვილს, რომ მის თანამემამულეთ არასოდეს არ ეღალატნოთ იმ პრინციპებისათვის, რომელზედაც დამყარებულია სიმართლე, პატიოსნება და კაცთმოყვარეობა; არ დაჰვიწყოდეთ, რომ ხალხთა შორის ურთიერთის პატივისცემა საუკეთესო თავმდებია კეთილ-განწყობილობისა.

დასასრულ რიგერი მოუწოდებს ჩეხელთ, უარ ჰყონ შურიანობა და მეტის პატივის ცემით მოეკიდონ ხოლმე ნიჭსა. „ეს ცოდვა, ნამდვილი სლავიანური ცოდვაა—ამბობს რიგერი,—მისის წყალობით მრავალ საუკუნეთა განმავლობაში არ მოხერხდა სლავიანთა გაერთიანება და ეს იყო მთავარი მიზეზი მათის დაუსრულებელ ტანჯვა ვაებისაო“.

რიგერს დიდძალი ქონება უანდერძნია სხვა და სხვა ეროვნულ დაწესებულებათა სასარგებლოდ.

—რიგერის გარდა, ამ მოკლე ხანში ჩეხებმა კიდევ დაჰკარგეს ერთი სახელოვანი მამულიშვილი, საუცხოვო ადამიანი და ცნობილი მეცნიერი თ. ბილეკი, თითქმის თანამედროვე რიგერისა. ხშირად გაისმის საყვედური, რომ ეხლანდელ ჩეხებს აკლიათ სიდარბაისლე, გაბედულობა, პირდაპირობა და რწმენათა სიმტკიცე. მათ უთითებენ წინაპრებზედ, რომელსაც არ განეცადათ ჰაბსბურგის გვარეულობისა და იეზუიტთა პოლიტიკის ზედგავლენა. რუსეთში მაინც ცუდის აზრისა არიან ჩეხელთა ხასიათის შესახებ. მაგრამ თ. ბილეკი სწორედ საუკეთესო მაგალითია, რომ მტკიცე, შეურყეველი ხასიათი წინაპართა დღესაც სცოცხლობს მათ შორის. ბილეკი თავისუფლად ჰქადაგებდა საპოლიტიკოსა და სარწმუნოებრივს აზრებს. იგი ქედს არ იხრიდა და მუდამ მზად იყო პასუხი გაეცა მოპირდაპირეთათვის, არავის ერიდებოდა, ყოველთვის შეურყევლად ადგა თავის რწმენას; 1873 წელს პრაგის საკადემიო გიმნაზიის დირექტორის თანამდებობიდგან დაითხოვეს, რადგან არ დასთანხმდა, მთავრობის სურვილისამებრ, აერჩია გიმნაზიის მასწავლებელთა შორის სეიმის დეპუტატი. მისი სამეცნიერო შრომანი: „ისტორია კანფისკაციისა ბელოგორის ბრძოლის შემდეგ,“ „ისტორია კათოლიკეთა რეფორმაციის“ (რომელიც ძალის-ძალათი მოახდინეს ჩეხიასა და მორავიაში), „ქონება იეზუიტთა ორდენის ძმობისა“ და „ისტორია იესოს საზოგადოებისა“ (იეზუიტთა), საუცხოოდ ახასიათებს იმ აღმაშფოთებელ ხანას, როცა გაძლიერებული კატოლიციზმი მოურიდებლად ჰმუსრავდა და სთრგუნავდა დაჩაგრულს ჩეხებს.

ინგლისი. სომალილენდს „გიჟ მოლლას“ წინააღმდეგ ინგლისის მეოთხეჯერ გალაშქრების შესახებ გაზ., „Times“-ს ადენიდგან ატყობინებენ დეპეშით:—ხმა გავარდა ინგლისის ჯარებმა „გიჟ მოლლას“ მუდუგში ალყა შემოარტყესო.

ეს ამბავი რომ ტყუილიც გამოდგეს, მაინც აშკარაა, რომ მოლლა დიდ გაჭირვებაში ჩავარდნილა.

მის ბანაკში გახშირდა ავადმყოფობა. ბევრი მეომართაგანი უკმაყოფილოა ბელადის ყოფა-ქცევით, რომელიც სისასტიკითა და სიმკაცრით სცდილობს განამტკიცოს თავისი გავლენა. რამდენისამე ხნის წინად მოლამ უბრძანა დოლბოლანების რამდენსამე ბელადს,—გებბე-შებექილს გამომყევითო; მათ უარი განაცხადეს. მოლა გაბრაზდა, შეიპყრო ყველა მოწინააღმდეგე და თავები დააყრევინა. ადენში შეიპყრეს „გიჟ მოლლას“ აგენტი, რომელიც, როგორც ჰფიქრობენ, ჯიბუტიდან მოლას ფარულად აწვდიდა იარაღს. ადგილობრივმა მმართველობამ მოახდინა გამოძიება და მათი ეჭვი მართალი აღმოჩნდა. აგენტი დააპატიმრეს.

ნარკვევი

„СПБ. Вѣдом.“-ში კაკუშკინის წერილია დაბეჭდილი: „განმანათლებელი მოღვაწეობა რუსეთის ექიმისა“. ავტორი ამბობს:

„განმანათლებელ ასპარეზზედ მოღვაწეობა რუსეთის ექიმებისა ამ 30 წლის განმავლობაში მეტად თვალსაჩინო და მისაბაძავია. რუსეთის ცხოვრება შეუჩერებლივ მუდამ წინ მიეშურება, რუსეთის ხალხის მოთხოვნილება ყოველ დღე მატულობს, რთულდება და მრავლდება. ხალხი ექიმის დახმარებას საჭიროებს, მას ათასგვარი მოთხოვნილება აღეძრა, ექიმი იძულებული შეიქმნა, მიექცია ამ გარემოებისათვის ყურადღება. ერობის ექიმებთან ერთად გაჩნდნენ რკინის გზის, ქალაქის, სამხედრო, სკოლის, სოფლის, ქარხნის და მთა-მადნის ექიმები. ყველა ესენი შეიარაღებულნი არიან ისეთის მეცნიერებით, რომელიც ყველას ერთნაირად ეპყრობა, როგორც დიდს, ისე პატარას, როგორც „ძონძებში გახვეულს გლეხს, ისე ბუზმენტებით მორთულ თავადსაც.

დღემდე ექიმები ცალკ-ცალკე მოქმედებდნენ, მათი მოღვაწეობა იყო თითქმის შეუგნებელი, არ ჰქონდათ კარგად შეგნებული, რას აკეთებდნენ და რა უნდა გაეკეთებინათ. საჭიროა-კია, ექიმებს ჰქონდეთ შედგენილი ესა თუ ის გეგმა, რა უნდა გააკეთონ და როგორ უნდა გააკეთონ.

ჩვენი კულტურული ძალა მეტად სუსტია. ექიმები ჩვენში შედარებით მეტია, ვიდრე სხვა თავისუფალი ხელობის წარმომადგენლები. ქვეყანა, რომელიც ბნელითაა მოცული, განათლებას ჰსაჭიროებს. რუსეთის ცხოვრება დღეს ისეთს წუთებს განიცდის, რომ აუცილებელი ხდება განათლების სარბიელზედ შრომა. თანდათან იზრდება უკმაყოფილება არსებულის, გარშემორტყმულის წყობილების მიმართ; ხალხს, საზოგადოებას დაეტყო გამოფხიზლება; ის განათლებისა, განვითარებისა და სინათლისაკენ მიისწრაფვის. გაცოცხლდა საერობო და საზოგადოებრივი მოქმედება. ხალხი ცნობიერდება, თავისს მდგომარეობას იგნებს, თავისას თხოულობს. ჩვენ, ექიმები, ამ დროს არ უნდა ვიყოთ გულხელდაკრეფილი, უნდა გავუწოდოთ ხელი ხალხის ხმასა და მიწოდებას...

დღეს, როცა მცხოვრებთა რიცხვის 90% სიბნელესა და უცოდინარობაში დაფავს სულს, ექიმების კულტურული მოღვაწეობა მით უფრო საჭიროა და აუცილებელი. საჭიროა მათი მოღვაწეობა მარტო პროფესიანულ ცოდნის გავრცელებით არ ისაზღვრებოდეს. ჰიგიენური ცოდნა მხოლოდ მაშინ გავრცელდება ხალხში, როცა საზოგადო განათლების საქმე კარგად იქნება დაყენებული. ამისათვის ექიმებს სოფლად, რომლებიც უკითხავენ ხალხს ჰიგიენის ლექციებს, რომლებიც არიგებენ სახალხო წიგნებს, მუდამ უნდა ახსოვდეთ,—რომ ჯერ საჭიროა საზოგადო კულტურული განვითარება ხალხისა და მერე სპეციალური ცოდნის შეძენა. პირველი მოვალეობაა ექიმისა, რომ ავადმყოფს მიაწოდოს არა მარტო წამალი, არამედ სულის საზრდოც. საექიმო საქმის კარგად მოწყობასთან ერთად, მას არც ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსება არ უნდა გამორჩეს.

როცა სიტყვა ჩამოვარდება ხალხის საზოგადო განათლებაზე, არა უნდა დაგვავიწყდეს რომ რუსეთის ცხოვრების დაქვეითების, თუ შეჩერების ერთად ერთი მიზეზი არის ის, რომ ხალხს ჯერ კიდევ ვერ შეუგნია თავის უფლება. ეს თავის უფლების შეუგნებლობა ნაყოფია ბატონ-ყმური ურთიერთობისა, რომელიც ხელს უშლის გლეხს, თავის საკუთარის ძალ-ღონით გაიუმჯობესოს თავის გაჭირებული და აუტანელი მდგომარეობა. ვინც უდგანან განათლებას სათავეში, უნდა ეცადნენ აღმოხოცონ ცხოვრებიდან ბატონყმობის ეს სამარცხვინო ნაშთი.

ექიმი ყველა ჯგუფის ავადმყოფს ერთნაირად უნდა მოეპყრობ, წოდებრივი, თუ სხვა უპირატესობა არ აუნდა სუფევდეს; უნდა უჩვენოს ავადმყოფს, რომ ისიც ისეთივე მოქალაქეა, როგორც ექიმი; ყველა ერთნაირად უნდა ემორჩილებოდეს სახელმწიფო კანონებს“. საჭიროა აგრეთვე საავადმყოფოს დაბალი მოსამსახურები ისე უსირცხვილოდ და უნამუსოდ არ ეპყრობოდენ ავადმყოფებს, როგორც დღეს ხდება.

საექიმო წესდების მე-81 მუხლის ძალით „ყველა ექიმი უნდა იყოს კაცთ მოყვარე“. ამ კანონის ძალით, ექიმი არა მარტო ზნეობრივად, იურიდიულადაც ვალდებულია დაიცვას შეურაცყოფილნი და დაცემულნი, მაგრამ ამ ღვთიურ მოვალეობას ბევრი გზას უხვევს“..

ჩვენს ექიმებს ჯერ მე-81 მუხლი არსად უნახავთ. რაღას გადაუხვევენ, როცა „კაცთმოყვარეობა“ სავალდებულოდ არასოდეს არ გაუხდიათ! მეტადრე სოფლად ექიმები საკმარისად სარგებლობენ ხალხის უგუნურობით. მაგრამ ეს შემდეგისათვის იყოს.

გაზეთ „Русск. Вѣдом.“-ში საინტერესო წერილია მოთავსებული რუსეთის სხვა-და-სხვა გუბერნიაში შემოღებულ ღვინით ვაჭრობის მონოპოლიის შესახებ:

„რეფორმას აზრად ჰქონდა მოესპო ხალხში ლოთობა, სახალხო კლუბები, სადაც კერძო კაცთაგან იყიდებოდა ღვინო და ადგილობრივ იხარჯებოდა; ეს დუქნები იყო ბოროტებისა და გარყვნილობის ბუდე. ღვინით მოვაჭრე აქ და იქ ხაზინაა. მყიდველს ღვინის მხოლოდ გატანა შეუძლიან. რა შედეგი მოჰყვა ამ რეფორმას? ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ 35 გუბერნიაში, სადაც ეს რეფორმაა შემოღებული, ღვინის სავაჭრო ადგილები შემცირდა, ღვინის ხმარებამ-კი ძრიელ იმატა ყველგან, ე. ი. წინანდელზე უფრო მეტი ღვინო და არაყი ვრცელდება ხალხშიო“.

გაზეთი ოფიციალურად გამოცხადებულ ციფრებით ამტკიცებს რეფორმის ამ სამწუხარო შედეგს.

წერილები
რედაქციის მიმართ.

ჯერ თქვენს გაზეთში და დღესაც „ცნობის ფურცელში“ დიდის გოდებით და ღაღადით აცნობეს საზოგადოებას, რომ მეორე დასი შესდგა და წარმოდგენებს მართავსო. მინდა დავამშვიდო და ცრემლი შევუშრო ამ ამბით აქვითინებულებს იმით, რომ ვაცხადებ: არავითარი დასი არ შემდგარა და თუ ორი სამი წარმოდგენა გაიმართება არა ბ-ნ გუნიას თანხმობით—მხოლოდ საქველ-მოქმედო მიზნით. თუნდ საქმე ასეც ყოფილიყოს და მართლაც მეორე დასი შემდგარიყოს, რა არის აქ საგოდებელი და სატირალი! ნეტავი თქვენც, ბ. რედაქტორო, და მეც მოვესწრებოდეთ იმ დროს, რომ საქართველოში ათი დასი შემდგარიყოს—ეს თეატრის საქმეს წინ წასწევს და არ შეაფერხებს.

კ. მესხი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

3 მარტი.

პეტერბურგი. 3 მარტს იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულმა დაათვალიერა პეტრე-პავლეს ტაძარი—რუსეთის იმპერატორთა სასაფლაო. 2 მარტს არხანგელსკის გამგეობით გაიმართა პეტერბურგის საეკლესიო მგალობელ გუნდთაგან სასულიერო კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 515 კაცმა. დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატრიცანი—მარიამ თეოდორეს ასული, ალექსანდრა თეოდორეს ასული და სხვა უმაღლესნი საიმპერატორო გვაროვნების გვამნი.

3 მარტს მოსკოვიდგან მობრძანდა დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ.

მოსკოვი. სასოფლო სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა საგუბერნიო კომიტეტმა სასურველად სცნო მოწყობა სოფლის მცხოვრებთათვის იურიდიული დარიგებისა და შეწყობის მიცემისა სამაზრო ერობებთან. სასურველადვე სცნო საინსტრუქტორო და სატეხნიკო-სახელოსნო სკოლების გამართვა სამაზრო მრეწველობათა თანა შეხამებით. კომიტეტის თათბირობანი დასრულებულ იქმნენ.

ეკატერინოსლავი. საერო სიფხიზლის საგუბერნიო კომიტეტმა გამართა ალკოგოლიკთა ჰიპნოზით საექიმო უფასო ამბულატორია.

ამსტერდამი. ნიდერლანდიის ბანკმა 3% სარგებელს მოუმატა $3^1/_2$-მდე.

კარაკასი. მთავრობის ჯარებმა ხელახლა დაიპყრა ყარუფანო.

ნიუ-იორკი. კარაკასიდგან მოსული ცნობით, მთავრობის ჯარს დაუმარცხებია აჯანყებულნი კუმარებასთან.

რომი. პაპმა ინახულა საფრანგეთის ელჩი ვატიკანში ნიზარი, რომელმაც პრეზიდენტის ლუბეს სახელით მიულოცა დღესასწაულობა.

ხარკოვი. პროკურორმა ხრულევმა და მისმა ამხანაგმა სოკალსკიმ სამ საათზედ დაასრულეს თავისი გამამტყუნებელი სიტყვები. შემდეგ ილაპარაკეს სამოქალაქო მომჩივრებმა შერემეტევსკიმ და პლევაკომ. ამ უკანასკნელის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ხვალ დაიწყებენ ლაპარაკს დამცველები.

ჰელსინგფორსი. უმუშაობის გამო დაზარალებულ მუშათათვის უფასო სასადილოების გახსნის მეორე დღეს მოვიდა 760 მუშა, სურვილი მოსვლისა კიდევ ბევრმა გამოაცხადა. ხვალ ათასი კაცისათვის ამზადებენ. მუშები დიდის წესიერებით იქცევიან.

პო. დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული 2 მარტს ბიარრიცაში წაბრძანდა.

5 მარტს.

სოფია. როგორც ისმის, გენერალ ცონჩევი და პოლკოვნიკი იანკოვი გაანთავისუფლეს საპატიმროდგან.

კიევი. ქალაქის საბჭოს დარბაზში დიდის ამბით მოხდა წლიური საზოგადო კრება ვლადიმირის ძმობის წევრთა. თავმჯდომარედ იყო მიტროპოლიტი ფლაბიანი. მიტროპოლიტმა, სამის არხიმანდრიტისა და სამის დეკანოზის თანამსახურებით, გადიხადა პარაკლისი შემცდართა მოქცევისათვის და პარაკლისის დასასრულ ითქვა მრავალ-ჟამიერი სამეფო სახლისა და უწმინდესის სინოდის სადღეგრძელოდ და საუკუნო ხსენება იმპერატორთა ალექსანდრე II-სა და ალექსანდრე III-სა, მოლოზანის ანასტასიასა და განსვენებულთა მიტროპოლიტთა. წაკითხულ იქმნა სიტყვა მღვდელ-მონაზონის დიმიტრისა შესახებ ეხლანდელ მისწრაფებისა პიროვნების თავისუფლებისათვის.

სოფია. მთავრობამ წარუდგინა საერო კრებულს ხელ-შეკრულობა საფრანგეთის საგემო საზოგადოება—„ფრეისინესთან“ წესიერ მიმოსვლისათვის ბოლგარიის შავის ზღვის ნავთ-სადგურებსა და მარსელსა და გენუას შორის. Deutsche Levant 'Linie“-ის ხელ-შეკრულობასთან შედარებით იმ ხელ-შეკრულობას უპირატესობა აქვს. სუბსიდია—48,000 ვალდა სამი წლისა.

პეტერბურგის ბირჟა, 28 თებერვალს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,05
ბერლინში 100 მარკაში	45,97$^1/_2$
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,95
ბერლინში ,,	46,27$^1/_2$
პარიჟში ,,	37,72$^1/_2$
ბირჟის დისკონტი	5—6$^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	98$^3/_8$ მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	101 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	95 მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	457$^1/_2$ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	363$^1/_4$ წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	305$^1/_2$ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4$^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4$^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, „ „ „	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	394$^1/_2$ წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	200 წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევს 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 12 წამ.).

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევს 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3. სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, ირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 სა. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევს 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ,).

განცხადება

ისყიდება
კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების შენობაში
ხეხილი
ჰაჯი იზმაილ-ოღლის
ბაღიდან მოტანილი: ვაშლი, მსხალი, ატამი, ბალი ღ სხვა ხეხილი ორისა და სამის წლისა.
(3—43—3)

ქ უ თ ა ი ს შ ი
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,
რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავდმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

საატფთიაქო საქონლით მოვაჭრე
ფარმაცევტთა ამხანაგობა
ტ ფ ი ლ ი ს შ ი
(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ.
ტელეფონი № 741.
აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად, დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი, მზა წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებლი ნივთეულობა, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ქირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბარატორიისათვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ-სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები —სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის, და სხვ, და სხვ.
ადრესი ფოსტისა და დეპეშისა: Тифлисъ Товарищество Фармацевтовъ.
(100—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 марта 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Н. Діасамидзе) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი სარაჯიშვილი.